ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე
თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი
სულხან ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - მ. შ.
საჩივრის კოლეგიაში შემოსვლის თარიღი: 19.10.2016
საჩივრის რეგისტრაციის №085/16
საჩივარი შემოტანილია - ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ, /სიითი№/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი
საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ თ. გ.-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2016 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. შ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2015 წლის 09 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატ თ. გ.-ს უნდა გაეწია საადვოკატო მომსახურება სისხლის სამართლის საქმეზე, რაც ეხებოდა საჩივრის ავტორის მაღაზიიდან თანხის მითვისების ფაქტს. ადვოკატ თ. გ.-ს საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანა და დაეწერა განცხადება პროკურატურაში წარსადგენად. ადვოკატმა თ. გ.-მა დაწერა საჩივარი, რომელიც მ. შ.-მ ჩააბარა პროკურატურაში.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ თ. გ.-ის მიერ დაწერილი განცხადება წაიკითხა და ნახა, რომ მისთვის უცნობი ადვოკატი ნ. ს.-ც იყო ჩართული მის საქმეში, რომელსაც არ იცნობს და არანაირი შეხება არ ჰქონია მასთან.

1.4 2017 წლის 13 ივნისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების მიხედვით, ადვოკატმა თ. გ.-მა მას განუცხადა, რომ ადვოკატი ნ. ს. იყო მისი პრაქტიკანტი, რომელიც ერთხელ ახლდა ადვოკატ თ. გ.-ს საგამოძიებო ორგანოში და პოლიციაში ყოფნის დროს, თუმცა იმ დროს საჩივრის ავტორს არ უკითხავს ვინ იყო ეს ქალბატონი.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მართალია, ადვოკატმა თ. გ.-მა დაწერა პროკურატურაში წარსადგენი საჩივარი, მაგრამ ამგვარ საჩივარს თავადაც დაწერდა. ადვოკატმა არ აწარმოა მისი საქმე სათანადოდ, ყურადღება არ მიაქცია პროკურატურაში საქმის წარმოების პროცესს, მას ალბათ ამისთვის საამისო ცოდნაც არ გააჩნდა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ინსულტი მიიღო, ქუჩაში გასვლა არ შეეძლო და გარკვეული ხანი თავადაც არ უკითხავს საქმის მდგომარეობა, თუმცა ადვოკატსაც ამ ხნის განმავლობაში არ მოუკითხავს მისი საქმე.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატ თ. გ.-ს გადასცა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი - 300 (სამასი) ლარის ოდენობით, თუმცა თანხის გადაცემის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, ადვოკატს მისთვის არ გადაუცია.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან მოიკითხა თავისი საქმე და ადვოკატმა თ. გ.მა ტელეფონზე საუბრისას უთხრა, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა გაითხოვა საქმე და მიმდინარეობს გამოძიებაო. მ. შ.-მ ადვოკატის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, მიმართა გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს, საიდანაც, მ. შ.-ს წერილობით აცნობეს, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურას არ გაუთხოვია საქმის მასალები.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა თ. გ.-მა მას ტელეფონზე საუბრისას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და „ბინძური სიტყვებით“ მიმართა. სამწუხაროდ, მას არ აქვს ისეთი ტელეფონი, რომლითაც ხმის ჩაწერას შეძლებდა, მისი თქმით, ამ დროს, სახლში იმყოფებოდა მისი მეუღლე და ხელოსანი ბ. გ. საჩივრის ავტორმა უთხრა თავის მეუღლეს, რომ ადვოკატმა შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდგომაც, მან დაურეკა ადვოკატ თ. გ.-ს და ჰკითხა რა კაცი იყო ის ქალის შურაცხყოფის შემდეგ.

1.9 2017 წლის 13 ივნისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის განმარტების მიხედვით, მან ეთიკის კომისიას საჩივრის მიმართა, მას შემდგომ რაც თ. გ.-მა შეურაცხყოფა მიაყენა. საჩივრის შემოტანიდან ორ დღეში ადვოკატმა თ. გ.-მა მას გადახდილი ჰონორარი უკან დაუბრუნა, ორ ნაწილად.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. გ.-მა ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2016 წლის 29 ნოემბერს, რომლის მიხედვითაც მან, მომართვის საფუძველზე 2015 წლის 09 ივნისს მ. შ.-თან გააფორმა ხელშეკრულება.

2.2 ადვოკატის განცხადებით, პროკურატურაში წარდგენილი საჩივრის საფუძველზე დაიწყო გამოძიება, რომელიც დღესაც მიმდინარეობს, თუმცა გამოძიების გაჭიანურების გამო მ. შ.-მ გამოთქვა უკმაყოფილება და მოითხოვა გაწეული საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიმუქრა ჩივილით.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ის ქალბატონ მ. შ.-ს გაყვა გამომძიებელთან დაკითხვაზე, ასევე დაიკითხა საჩივარში მითითებული ყველა პირი, ადვოკატს ჰქონდა შეხვედრები და სატელეფონო საუბრები გამომძიებელთან.

2.4 ადვოკატის განცხადებით, დღეის მდგომარეობით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საჩივრის ავტორის საქმე გაითხოვა ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მ. შ.-ის ახლობლის ჩარევის შემდეგ თანხა მთლიანად დააბრუნა, ადვოკატის თქმით, მან თავი აარიდა მისი მხრიდან საჩივრების წერას, რასაც მაინც ვერ აცდა.

2.6 ადვოკატის განცხადებით, მას ,,ბინძური სიტყვებით'' ქალბატონ მ. შ.-ისთვის არ მიუმართავს, მათ შორის სატელეფონო საუბარი მართლაც შედგა, რაზეც ადვოკატმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ მასთან სამსახურში არავინ მისულიყო და თავად შეხვდებოდა მათ მიერ გამოგზავნილ პირს.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2017 წლის 20 იანვარს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგია აღნიშნა, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორს აცნობა, რომ გლდანი-ნაძალადევის სამმართველოდან ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა გაითხოვა მისი საქმე და მიმდინარეობდა გამოძიება. ადვოკატი თ. გ. თავის ახსნა-განმარტებაში ადასტურებს მოცემულ გარემოებას და უთითებს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა გაითხოვა მ. შ.-ის საქმე. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ეთიკის კომისიაში მ. შ.-ის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების, კერძოდ, 2016 წლის 13 დეკემბრის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მ. შ.-ადმი წერილობითი პასუხის მიხედვით ირკვევა, რომ „...გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-6 განყოფილებაში მიმდინარეობს მ. შ.-ისა და მისი ადვოკატის თ. გ.-ის საჩივრის წინასაგამოძიებო მასალების განხილვა... საქმის მასალები არ გაუთხოვია ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურას და დღემდე განიხილავს გლდანი ნაძალადევის სამმართველოს მე-6 განყოფილება...“ საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ შესაძლოა საჩივრის ავტორს თავისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე ადვოკატისგან არ ჰქონდა სწორი ინფორმაცია, თუმცა, ადვოკატისათვის უფლებამოსილების მინიჭებისას, ჰქონდა ნდობა და კანონიერი მოლოდინი, რომ ადვოკატი მიაწოდებდა სწორ ინფორმაციას და საქმეს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად აწარმოებდა.

3.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა თ. გ.-მა შესაძლოა, საჩივრის ავტორის საქმის წარმოება მიანდო სხვა ადვოკატს ისე, რომ ამის შესახებ არ შეთანხმებულა კლიენტთან, კლიენტისგან არ ჰქონია მინიჭებული ასეთი უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა შესაძლოა, დაარღვია ნდობის და კონფიდენციალობის პრინციპი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ადვოკატ თ. გ.-ს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იურიდიული მომსახურება უნდა გაეწია მ. შ.-თვის სისხლის სამართლის საქმეზე, შეედგინა საჩივარი პროკურატურაში წარსადგენად/

4.2 *განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

1. *მხარეთა ზეპირი მოსმენით და წერილობით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;*
2. *თ. გ.-სა და მ. შ.ს შორის 2015 წლის 09 ივნისის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშერკულება(ს.ფ. 07);*

4.3 ადვოკატმა თ. გ.-მა აცნობა საჩივრის ავტორს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მისი საქმე გაითხოვა ვაკე - საბურთალოს რაიონის პროკურორმა.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *ადვოკატ თ. გ.-ის წერილობით წარმოდგენილი ახსნა-განმარტება;*
2. *საჩივრის ავტორის - მ. შ.-ის ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენილი ახსნა-განმარტება;*

4.4 თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურას არ გაუთხოვია მ. შ.-ის საქმე და მას განიხილავდა გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-6 განყოფილება.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *2016 წლის 13 დეკემბრის გლდანი-ნაძალადევის რაიონის მიერ გაცემული ცნობა მ. ჩ-ადმი (ს.ფ.21);*

4.5 ადვოკატი თ. გ. საჩვრის ავტორის საქმეს აწარმოებდა ადვოკატ ნ. ს.-თან ერთად, რომელიც ადვოკატ თ. გ.-ის პრაქტიკანტია.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. *განხილვის კოლეგიის სხდომაზე 2017 წლის 13 ივნისს საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტება.*

5. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. გ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ თ. გ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.1.1. ადვოკატთა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“.

6.1.2. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი: ,,ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობასა და მიუკერძოებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა“.

6.2 ადვოკატი კლიენტის საქმის წარმოებას მასთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იწყებს. ის ვალდებულია კლიენტს მიაწოდოს სწორი ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით. კლიენტის ინფორმირების ვალდებულება უშუალოდ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს, ის ენდობა ადვოკატს და

მნიშვნელოვანია ის ფლობდეს სწორ ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე. საქმესთან დაკავშირებული არასწორი ინფორმაციის მიწოდება ხელწყოფს ნდობის პრინციპს და აზიანებს კლიენტის ინტერესებს.

6.3 ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპია ნდობის პრინციპი. ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებაა, რომ ისე გაუწიოს თავის კლიენტს იურიდიული მომსახურება, რომ ეჭვქვეშ არ დადგეს ნდობის პრინციპი. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატისათვის საკუთარი პრობლემის განდობით იწყება და თავისთავად, ადვოკატი, როგორც სპეციალური ცოდნის მქონე პირი, ვალდებულია, კლიენტს მიაწოდოს კანონიერი რჩევა, სრული და ამომწურავი ინფორმაცია გასაგებ ენაზე.

6.4 საჩივრის ავტორის პოზიციის მიხედვით, საქმის მდგომარეობასთან დაკავშირებით, ადვოკატმა თ. გ.-მა მიაწოდა ინფორმაცია, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა გაითხოვა მისი საქმე გლდანი-ნაძალადევის სამმართველოდან. ადვოკატი თ. გ. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში მ. შ.-ის საქმის მდგომარეობასთან დაკავშირებით უთითებს: „დღეის მდგომარეობით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საქმე გაითხოვა ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა“ (ს.ფ.5). საჩივრის ავტორი თავის პოზიციაში უთითებს, რომ მან მიმართა გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს ადვოკატ თ. გ.-ის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულების მიხედვით, კერძოდ, 2016 წლის 13 დეკემბრის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მ. შ.-ისადმი მიმართულ წერილობით პასუხში აღნიშნულია, რომ „...გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-6 განყოფილებაში მიმდინარეობს მ. შ.-ისა და მისი ადვოკატის თ. გ.-ის საჩივრის წინასაგამოძიებო მასალების განხილვა... საქმის მასალები არ გაუთხოვია ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურას და დღემდე განიხილავს გლდანი ნაძალადევის სამმართველოს მე-6 განყოფილება...“ (ცნობა; ს.ფ.21). მოცემულ შემთხვევაში, დასტურდება, რომ ადვოკატმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდა თავის კლიენტს საქმის მდგომარეობის თაობაზე, რითაც დაირღვა ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება და ნდობის პრინციპი.

6.5 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ კლიენტი შეუთანხმდა ადვოკატს იურიდიული მომსახურების მიღების თაობაზე ის უფლებამოსილი იყო მიეღო სწორი და ზუსტი ინფორმაცია თავისი საქმის მსვლელობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს შეექმნა არასწორი მოლოდინი თავისი საქმის მსვლელობის ირგვლივ, რის შემდგომაც კლიენტს დაეკარგა ადვოკატისადმი ნდობა. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა არასწორი ინფორმაციის მიწოდებით საფრთხე შეუქმნა კლიენტის ინტერესებს.

6.6 განხილვის კოლეგიის შეფასებით ადვოკატ თ. გ.-ის მიერ არ დარღვეულა შემდეგი ნორმა:

6.6.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

6.6.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

6.6.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი

არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.“

6.7 საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებისა და ეთიკის კომისიაში ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების მიხედვით, დასტურდება, რომ ადვოკატ თ. გ..-სთან ერთად ადვოკატი ნ. ს. ჩართული იყო საჩივრის ავტორის საქმის წარმოებაში. მ. შ.-ის საქმესთან დაკავშირებით, პროკურატურისადმი მიმართულ საჩივარზე, ადვოკატ თ. გ.-ის გარდა, მითითებულია ადვოკატი ნ. ს. (2015 წლის 16 ივნისის საჩივარი; ს.ფ.10, 2017 წლის 27 იანვრის საჩივარი; ს.ფ. 18). საჩივრის ავტორის პოზიციის მიხედვით, ის არ იცნობდა ადვოკატ ნ. ს.-ს და მასთან არ შეთანხმებულა საადვოკატო მომსახურების თაობაზე, თუმცა ადვოკატ თ. გ.-ისგან შეიტყო,რომ ის მისი პრაქტიკანტი იყო. მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატი უფლებამოსილია თავის ოფისში პროფესიული საქმიანობა განახორციელოს მის მიერ მოწვეულ პარტნიორებთან, თანამშრომლებთან ერთად კონფიდენციალობის პრინციპის დაცვით ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, რომლის მიხედვით, „ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა იგივე სტანდარტით“. ასეთი პირები შეიძლება იყვნენ ადვოკატის თანაშემწე, სტაჟიორი, პრაქტიკანტი, იურისტი და ისინი ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალური ინფორმაცია.

6.8 განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ თ. გ.-ის მიერ თავის პრაქტიკანტთან - ადვოკატ ნ. ს.-თან ერთად საჩივრის ავტორის საქმის წარმოება არ წარმოადგენს კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევას, რადგან პრაქტიკანტი არის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობისთვის მოწვეული პირი, რომლის ვალდებულებაა იგივე სტანდარტით დაიცვას საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

6.9 საჩივრის ავტორის პოზიციიდან ირკვევა, რომ ადვოკატმა სისხლის სამართლის საქმეზე მისი, როგორც დაზარალებული მხარის ადვოკატმა შეადგინა საჩივარი პროკურატურაში წარსადგენად, თუმცა ასეთ საჩივარს თავადაც შეადგენდა და საჩივრის ავტორის განმარტების მიხედვით, ადვოკატმა არ მიაქცია ყურადღება პროკურატურაში საქმის მიმდინარეობას. მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ადვოკატს უნდა დაეცვა მ. შ.-ის ინტერესები, მათ შორის შეედგინა საჩივარი პროკურატურის სახელზე (ხელშეკრულება; ს.ფ.7). ადვოკატმა თ. გ.-მა შეადგინა საჩივარი პროკურატურაში წარსადგენად, რაც ეხებოდა გამოძიების დაწყების მოთხოვნას საჩივრის ავტორის მაღაზიიდან ფულადი თანხის მითვისების ფაქტზე (საჩივარი; ს.ფ.10). საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატთან ერთად იმყოფებოდა საგამოძიებო ორგანოში და პოლიციაში მის საქმესთან დაკავშირებით, 2016 წლის 13 დეკემბერს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მიერ გაცემული წერილობითი ცნობის მიხედვით, ადვოკატი თ. გ. ესწრებოდა 2015 წლის 26 აგვისტოს მ. შ.-თან გასაუბრების ოქმის შედგენას. ასევე, საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მას დაუბრუნა საადვოკატო მომსახურებისათვის ჰონორარის სახით გადაცემული თანხა და ამ საკითხთან დაკავშირებით მას ადვოკატის მიმართ პრეტენზია აღარ აქვს. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არ არის წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულებები, რის მიხედვითაც დადასტურდებოდა

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევა.

6.10 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიერ მის მიმართ შეურაცხყოფის თაობაზე არ დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებით და ამავე დროს, საჩივრის ავტორი ზოგადად უთითებს რომ ადვოკატმა მას შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა.

6.11 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პრაქტიკა და განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლომ გააკეთა სასამართლოს მომართვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების განხილვისას და გადაცდომასა და პასუხისმგებლობის ფორმას შორის ურთიერთშესაბამისად მიიჩნია ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

6.12 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 38-ე მუხლის თანახმად, ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შემთხვევაში, იგი უნდა შეიცავდეს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და იგი ადვოკატს ჩაბადება პირადად.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, ამავე კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი და მე-5 ნაწილებით და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით; „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 33-ე მუხლით, 35–ე მუხლით, 38–ე მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №085/16 ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ /სიითი N/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /სულხან ონიანი/